ორიოდე სიტყვა დანიელ ჭონქაძეზე და ეგნატე ნინოშვილზე

(პირველად გამოქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ 1904 წელს)

ადგილობრივმა გაზეთებმა ამას წინად სიტყვა ჩამოაგდეს სალიტერატურო ფონდის უკიდურესი საჭიროების შესახებ. მაგალითად დაასახელეს, სხვათა შორის, გაჭირვებული ცხოვრება და ამის გამო უდროოდ სიკვდილი დანიელ ჭონქაძისა და ეგნატე ნინოშვილისა. პირველი მაგალითი ყოვლად შეუსაბამოა. ჭონქაძეს სრულიად უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა. იგი იყო არა უბრალო გლეხის შვილი, არამედ მღვდლის შვილი, და ისიც არა უბრალო მღვდლისა, არამედ იმისთანასი, რომელსაც ჩამომავლობით ეჭირა ადგილი ბატონიშვილების სასახლის მოძღვრისა; ბატონიშვილებისაგან ნაბოძები ჰქონდა დანიელის წინაპრებს ასის დღის მამული დუშეთის მაზრაში, რომელიც მემკვიდრეობით მთლად დარჩენოდა ჩვენს ბელეტრისტსა, რადგანაც მას სხვა ძმა არა ჰყავდა. ასე, რომ ჩვენი დანიელი იყო კარგი მემამულე. თანამდებობაც კარგი ეჭირა. იგი ასწავლიდა სასულიერო სემინარიაში ოსურს ენასა, და იქვე სემინარიაში ჰქონდა მუქთი სადგური მოსამსახურით და შეშით. სასინოდო კანტორაშიც ჰქონდა ადგილი. ამის გამო, იგი იცვამდა ყოველთვის უკანასკნელ მოდაზე, შესული იყო მაღალ საზოგადოებაში და არაფერს არ იკლებდა. გარდა ამისა, მას ჰყავდა შემძლებელი ნათესავები, რომელნიც სულსაც არ დაიშურებდნენ მისთვის, რადგანაც მეტად სიმპათიური ხასიათის ქართველი იყო. იგი უდროოდ გარდაიცვალა არა სიღარიბისგან, რომელიც მას არც კი მოსიზმრებია, არამედ სიჭლექისაგან, რომელიც იყო შედეგი მისი ჭლექური აგებულებისა. მან, როგორც მახსოვს, დასწერა მხოლოდ ერთად-ერთი მოთხრობა -“სურამის ციხე”- მეტად სიმპატიურს თემაზე, რომელიც თუმცა მოკლებულია ნამდვილს ხელოვნურს ღირსებასა, მაგრამ იპყრობს გაბედულს პროტესტს ბატონყმობის წინააღმდეგ, რასაც ყოველი ქართველი დემოკრატი დიდ ღვაწლად რაცხს.

ნინოშვილის მაგალითი სრულიად სხვა ხასიათისაა. ნინოშვილი იყო არა მემამულე, ჭონქაძესავით, არამედ შვილი მეტად ღარიბი გლეხისა. იგი მოკლებული იყო ყოველს სახსარს ცხოვრებისას და იოლად გამოდიოდა პატარა ჰონორარით, რომელსაც იღებდა თავისს მოთხრობებში ქართული რედაქციებიდან. ნინოშვილი ბუნებით დაჯილდოებული იყო ნამდვილი ხელოვნური, მხატვრობითი ნიჭით, და ამ ნიჭის ბეჭედი ცხადად აზის ყველა მის მოთხრობასა. ამავე დროს ყველა ეს მოთხრობები სავსენი არიან ხალხის სიბრალულით, თანაგრძნობით, სიყვარულით გაჟღენთილნი არიან ნამდვილი დემოკრატიზმით. იგი არა მარტო ერთს მოთხრობაში-კი არ აცხადებს პროტესტს ხალხის დაჩაგვრის წინააღმდეგ, რაც შეიძლება მიაწეროთ ბედნიერ შემთხვევას, არამედ ჰხატავს ამ პროტესტს ყველა თავისს მოთხრობაში, ყოველს სტრიქონში, ყოველს გვერდზე. იგი ნამდვილი მწერალია, ნამდვილი ბელეტრისტი, მოწოდებით მომუშავე სალიტერატურო ყანაში. ნინოშვილის მაგალითი ამავე დროს ხმა-მაღლა გაჰკივის სალიტერატურო ფონდის საჭიროებაზე. და გაჰკივის არა მარტო იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოება გულ ცივად ექცევა გაჭირვებულს ლიტერატორებს, არამედ სხვა მხრივაც, რომელიც მეტად სიმპატიურს შუქსა ჰფენს ამ ხალხის შვილის ხასიათსა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დაავადებული ნინოშვილი პირადად შემწეობას არავისაგან არ იღებდა, გარდა მახლობელი მეგობრებისა. ხოლო ეს მეგობრებიც სულ ჯიბეცარიელები იყვნენ და მისი გაჭირვებიდგან გამოყვანა არ შეეძლოთ. ნებას არავის აძლევდა არც წარმოდგენა გაემართათ მის სასარგებლოდ, არც ხელისმოწერით შეეკრიბათ ფული, როცა ნ.ბ. ღოღობერიძემ მოაწადინა მისი ნახვა და ნინოშვილს გადასცეს, მან თურმე უპასუხა: ის უთუოდ ფულს შემომაძლევს და მე შემწეობას კერძო პირისაგან ვერ მივიღებო. მხოლოდ “კვალის”

რედაქციისაგან არა თაკილობდა თვეში თუმანი მიეღო, რადგანაც ბოლოს წლებში ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომელი იყო, მაგრამ ერთი თუმანი რას გაუხდებოდა მძიმე ავადმყოფსა.

თვითონ ამ სტრიქონებს დამწერსაც ძლიერ გაუძნელდა შემწეობის ძლევა, რამდენიმე თვის განმავლობაში ასეთი იშვიათის ხასიათის გამო, როგორც ეს სჩანს ჩემი წინა წერილიდან ნინოშვილზე.

ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ სალიტერატურო ფონდი ჰქონებოდა ჩვენს საზოგადოებას; მაშინ ნინოშვილი არ დაითაკილებდა თავის დროზე მიმართავდა შემწეობისათვის სალიტერატურო ფონდის გამგეობას, დროზე მოიპოვებდა ღონისძიებასა სენის წინააღმდეგ საბრძოლველად და იქნება დღესაც მოქმედი ყოფილიყო მისი ნიჭიერი და ღვაწლიანი კალამი.

მკითხველსა ვთხოვ ერთს წამს შესდგეს აქ და შეადაროს ნინოშვილის საქციელი და ჩვენი ახლანდელის ზოგიერთ სტუდენტებისა, რომელინიც ყველას ილაჯს უწყვეტავენ; მოიღეთ მოწყალება, შეკრიბეთ ჩვენ სასარგებლოდ გროშები, ან გამართეთ წარმოდგენები და სამადლოდ მოგვაწოდეთ საქეიფო ფულებიო. რა გაუზომელი მანძილია! ტანჯული ხალხის შვილს უკედურესად დასნეულებული, მედგრად იცავს თავის დამოუკიდებლობას, იჩენს მეტად სიმპატიურს დემოკრატიულს სიამაყეს, ხოლო მათნი ბრწყინვალებანი-სტუდენტები მათხოვრებად გადაქცეულან საჯაროდ, საქვეყნოდ, ურცხვად.

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა :</u>

ქ.ხაშურის #8 საჯარო სკოლის მოსწავლემ, **ლიზი ალექსიძემ.**